არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირი

კოლეჯი „განთიადი“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 68

11 ---2021 წელი

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ

,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიე მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შე-დეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისისN48/ნ ბრძანების,ა(ა)იპ კოლეჯი ,,განთიადის" წესდების მე-5 მუხლის „ა"და" თ" ქვეპუნქტების საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში'' „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიე მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი დანართის№1
2. დაევალოს ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის" საქმის მწარმოებელს/არქივარიუს მარინე ამბრიაშვილს დაინტერესებულ პირთათვი ამ ბრძანების გაცნობა კანონით დადგენილი წესით.
3. ბრძანება გამოქვეყნებისთანავე შევიდეს ძალაში.
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესის გაცნობის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გორის რაიონულ სასამართლოში. (ქ.გორი,სერგო ჯორბენაძის N30)

დირექტორი ანა დათუაშვილი

დამტკიცებულია
ააიპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის
2021 წლის 11 ოქტომბრის № 68 ბრძანებით

დანართისN1

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის „ (შემდგომში კოლეჯი)„ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი (შემდგომში – წესი) ადგენს იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

2. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულები – „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულები;

ბ) პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო (შემდგომში – პორტფოლიო) – პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს სტუდენტის მიღწევების ამსახველ მასალებს, ორგანიზებულს კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო თემების მიხედვით;

გ) კომპლექსური დავალება - შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის საშუალებითაც წარმოჩინდება პროფესიული სტუდენტის მიღწევები ინტეგრირებული ზოგადი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგთან/შედეგებთან მიმართებით;

დ) თემა – ინტეგრირებული ზოგადი მოდულის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, რომლის ფარგლებშიც, კომპლექსური დავალებების საშუალებით ხდება სწავლის ყველა შედეგზე მუშაობა;

ე) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომია – შეფასების ჰოლისტური რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება;

ვ) ვერიფიკაცია – ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შესაბამისობის შემოწმება ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან.

მუხლი 3. დადასტურების მიზანი და შეფასების სისტემის მახასიათებლები

1. დადასტურება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალურ დამოწმებას.

2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა არის:

ა) ვალიდური;

ბ) სანდო;
გ) გამჭვირვალე;
დ) სამართლიანი;
ე) ობიექტური.

მუხლი 4. ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება

1. კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასებას.
2. შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება.
3. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.
4. განმავითარებელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის.
5. თითოეული პროფესიული სტუდენტი, თითოეული თემის კონტექსტში, ფასდება ინდივიდუალურად, შეფასების ტაქსონომიით განსაზღვრული დონეების გამოყენებით. მის მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს მტკიცებულებას თუ რატომ შეფასდა სტუდენტი ტაქსონომიის ამა თუ იმ დონესთან შესაბამისობაში.
6. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ერთსა და იმავე სწავლის შედეგთან მიმართებით რამდენიმე კომპლექსურ დავალებას ასრულებს. თითოეული თემის ფარგლებში სავალდებულოა ყველა სწავლის შედეგზე მუშაობა (კომპლექსური დავალებების საშუალებით).
7. შეფასებისას, სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალების გამოყენება. დასაშვებია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთი კომპლექსური დავალებით შეფასება.
8. კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა ეფუძნება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომიას.
9. ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია.
10. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე (1: პრესტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გააზრებული საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს. 2: უნისტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.3: მულტისტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.4: მიმართებითი დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეესაბამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი სტრუქტურირებულია და ამგვარად, პროფესიულ სტუდენტს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზშედეგობრიობის კუთხით.5: აბსტრაქტული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან, იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.).

მუხლი 5. ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებების შექმნა და შეგროვება, პორთფოლიოს წარმოება

1. თითოეული სტუდენტისსათვის იქმნება პორთფოლიო, სადაც თავმოყრილია სტუდენტის მიერ

შესრულებული კომპლექსური დავალებების შესახებ დოკუმენტაცია.

2. პორტფოლიოს წარმოებაზე ზედამხედველობა, (როგორც გარდამავალ ისე მთელი სწავლების განმავლობაში) ეკისრება სასწავლო პროცესის მენეჯერს. კოლეჯი უზრუნველყოფს პორტფოლიოს წარმოებაში მასწავლებლების შესაძლებლობას ელექტრონული პორტფოლიოსადმი ხელმისაწვდომობას ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფით.

3.პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, კომპლექსური დავალების შეფასებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, პორტფოლიოში ასახოს სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები.

4. პორტფოლიო შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ან პასპორტის ნომერი (არსებობის შემთხვევაში);

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

გ) ინტეგრირებული მოდულის სახელწოდება;

დ) თემის დასახელება **მოდულის მიხედვით;**

ე) კომპლექსური დავალების შინაარსი და ნომერი;

ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ კომლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება;

ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასება და მიცემული უკუკავშირი;

თ) კომპლექსური დავალების მიცემის, შესრულების და პორტფოლიოში მისი განთავსების თარიღები.

5. პორტფოლიოში წარმოდგენილი უნდა იყოს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

6.პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ სამი წლის განმავლობაში; შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

მუხლი 6. განმეორებითი დადასტურების შესაძლებლობა

1. კოლეჯი უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასების ორგანიზებას, განმეორებითი შეფასება ჩატარდება იმ შეთხვევაში, თუ სტუდენტი რაიმე მიზეზის გამო ვერ დაესწრო განმსაზღვრელ შეფასებას ან ვერ წარმოადგინა განმსაზღვრელი კომპლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება ან ეს მტკიცებულება (ნაშრომი) ვერ აღასტურებს, რომ სტუდენტი გავიდა შეფასების ტაქსონომიის მინიმუმ მიმართებით დონეზე.

2. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა უზრუნველყოფს კომპლექსური დავალების შესრულების მტკიცებულების წარმოდგენა.

3. განმეორებითი შეფასების ჩატარება თანხმებდება სასწავლო პროცესის მენეჯერთან და მოდულის პროფესიულ მასწავლებელთან შეფასებამდე სულ მცირე 3 დღით ადრე. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს წინასწარ შეთანხმებულ დროს გამოცხადდეს განმეორებითი შეფასების დასადასტურებლად.

4. განმეორებით შეფასებაზე შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას სწავლის შედეგი/მოდული არ ჩაეთვლება დადასტურებულად.

მუხლი 7. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება

1. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობაა თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევა.

2. პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე, კოლეჯში შექმნილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია (შემდგომში – დადასტურების კომისია) ადგენს, რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება;

ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება.

3. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 8. დადასტურების კომისიის შექმა და საქმიანობა

1.დადასტურების კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. დადასტურების კომისია ნიშნავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით,რომელიც შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან, კომისის შემადგენლობის დაკომპლექტება უნდა განხორციელდს ისე რომ წევრთა უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ კოლეჯის წარმოამადგენლები;

2.4. კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და წევრ(ებ)ი. კომისიის წევრს, ფუნქციიდან გამომდინარე, უნდა გააჩნდეს აუცილებელი ცოდნა ინტეგრირებული მოდულების მიზნის, სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის, ვერიფიკაციის პროცესის თაობაზე (აქედან გამომდინარე კოლეჯიდან კომისიის წევრი შეიძლება იყოს - სასწავლო პროცესის ან/და ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი, ხოლო მოწვეული სპეციალისტებიდან - განათლების ექსპერტი, სერთიფიცირებული მასწავლებელი, მენტორი მასწავლებელი, განათლების სპეციალისტი,ინტეგრირებული მოდულის განმხარეოცილებელი სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და ა.შ.).

3. კომისიის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს კომისიის შემადგენლობიდან ხმათა უმარეველესობით ირჩევს კომისია. კომისიის თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს კოლეჯის წარმომადგენელი.კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4. დადასტურების კომისია იკრიბება და მუშაობს, როგორც პირისპირ შეკრებების გზით ასევე (არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე) შესაძლოა შეკრება წარიმართოს ონლაინ რეჟიმში.

5.დადასტურების კომისიის ფუნქციაა თითოეული სტუდენტის პორტფოლიოს განხილვა. (კომპლექსური დავალებები შესაძლოა ნახონ შერჩევითაც.)

6.დადასტურების კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა და ამ უმრავლესობას არ ქმნიან კოლეჯის წარმომადგენლები.

7.დადასტურების კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

8. დადასტურების კომისია პორთფოლიოების შესწავლის და უფლება-მოვალეობის განხორციელების შემდეგ ადგენს ოქმს, სადაც ასახული იქნება მიღებული გადაწყვეტილება თითოეული სტუდენტთან მიმართებაში.

9..დადასტურების კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.

მუხლი 9. სააპელაციო კომისია

1.დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს დადასტურების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შედეგის გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

2.გასაჩივრების მიზნით, პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს დირექტორს, რომელიც ერთი კვირის ვადაში ქმნის სპეციალურ სააპელაციო კომისიას, დადასტურების კომისიისგან განსხვავებული შემადგენლობით.საპალეციო კომისია უნდა შედგებოდეს არა ნაკლებ 3 წევრისგან,კომისიის წევრები შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს,რომელიც წარმართავს კომისიის საქმიანობას,კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.კომისია გადაწყვეტილება უნარიანია თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

3.სააპელაციო კომისია საჩივარს განიხილავს გონივრულ ვადაში და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.

4. პროფესიულ სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე ელექტრონულად.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება

1.კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესის თაობაზე შედეგების დადასტურებამდე 5 დღით ადრე.

2.კოლეჯი ასევე უზრუნველყოფს მოქმედი სტუდენტებისა და ახლადჩარიცხული სტუდენტების ინფორმირებას აღნიშნული წესში მითითებული საკითხების შესახებ.

მუხლი 11. პროფესიული მასწავლებლებისა და პერსონალის ინფორმირება და განვითარება

1.კოლეჯი უზრუნველყოფს ინტეგრირებული მოდულების პროფესიული მასწავლებელბისა და პროცესებში ჩართული პირების ინფორმირებას აღნიშნული წესში მითითებული საკითხების შესახებ.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

1. საკითხები რომლებიც არ არის ასახული წესში რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პრორამის ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესის თაობაზე .

მუხლი 13. დასკვნითი დებულებანი

1. ამ წესს ინდივიდუალური ადმინისტრაციული- სამართლებრივი აქტით -ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

2. ამ წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული- სამართლებრივი აქტით- ბრძანებით.